ქუთაისის საქალაქო სასამართლო
ქუთაისი, კუპრაძის ქ. 11

080310019003042607
09.03.2022წელი
3/307-19

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ.ქუთაისის რუსთაველის გამზ. #3

გეგზავნებათ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 09.03.2022 წლის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ

დანართი: განჩინება ,,3"ფურცელი.

მოსამართლის თანაშემწე ალექსანდრე ხაჭაპურიძე

საქმე №3/307-19

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ

09.03.2022 წელი ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - მალხაზ ჩუბინიძე

მოსარჩელე - ივანე ჟორჟოლიანი

მოპასუხე - ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 12 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა ივანე ჟორჟოლიანმა, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ მოითხოვა:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 10.04.2019წ. N112 ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის (N041050319007) წარმოების დაწყების გამო, შეჩერდა დისციპლინური წარმოება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის მიერ, მ/წლის 10 აპრილიდან, შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

აღნიშნული ბრძანება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს 27.10.2015 წ. კანონის მე-100 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოება ჩერდება, თუ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მიმართ იმავე ქმედების გამო დაწყებულია სისხლი სამართლის საქმის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება. მოსარჩელის განმარტებით მათ მიმართ რაიმე ქმედების გამო სისხლის სამართლის საქმის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებული არ არის და არც არასოდეს ყოფილა.

მიმდინარეობის პერიოდში, ხოლო დისციპლინური წარმოების შეჩერება არასწორად დაუკავშირეს სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას, რომელზეც გამოძიება მოსარჩელის მიმართ არ მიმდინარეობს და ხანგრძლივად შეიძლება გაგრძელდეს, საკრებულოს თავმჯდომარის სადავო ბრძანება პირდაპირ და უშუალოდ არღვევ მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

შესაბამისად მოსარჩელე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 10.04.2019წ. N11 ბრძანება.

2022 წლის 09 მარტს სასამართლოს განცხადებით მომართა მოსარჩელე ივანე ჟორჟოლიანმა და სარჩელის განუხილველად დატოვება და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება მოითხოვა

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და სარჩელი დატოვებული უნდა იქნეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[I]-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე, სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სარჩელი დატოვებული უნდა იქნას განუხილველი, ხოლო მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელი თანდართული მასალებით და სახ. ბაჟი 100.00 (ასი) ლარი, რომელიც ამოირიცხოს ანგარიშიდან 300183150; გადამხდელი ივანე ჟორჟოლიანი 60001000794; საგადასახადო დავალება 0; გადამხდელის ბანკი სს „თიბისი ბანკი"; 12/06/2019 წელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1]-ე მუხლით, 275-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, 276-278ე, 284-285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოსარჩელე ივანე ჟორჟოლიანის (პ.ნ. 60001000794); შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ივანე ჟორჟოლიანის (პ.ნ. 60001000794); სარჩელი, მოპასუხე - ქ. ქუთაისის საკრებულოს მიმართ, ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაოვაზე დატოვებული იქნეს განუხილველი და მოსარჩელეს დაუბრუნდეს სარჩელი თანდართული მასალებით.

3. ივანე ჟორჟოლიანს (პ.ნ. 60001000794); დაუბრუნდეს გადახდილი სახ. ბაჟი 100.00 (ასი) ლარი, რომელიც ამოირიცხოს ანგარიშიდან 300183150; გადამხდელი ივანე ჟორჟოლიანი 60001000794; საგადასახადო დავალება 0; გადამხდელის ბანკი სს „თიბისი ბანკი“; 12/06/2019 წელი.

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32), ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11) ასლის მხარისათვის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში.

მოსამართლე მალხაზ ჩუბინიძე